

შპს „საღიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შპს „საღიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2020 წელი

ბათუმი

შინაარსი

შემოკლებანი

ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი

მოგება-ზარალის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შემოკლებანი

- შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ - ცენტრი
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სამინისტრო
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის - მსს ფასს

შპს „სალის აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შპს „სალის აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის
რეგიონალური ცენტრი“-ს ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული ბალანსი

აქტივი	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში	1110	325	165
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	1 379 165	1 692 088
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	467 014	485 658
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	58 513	36 427
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)	1490	3 269	15 234
სულ მიმდინარე აქტივები		1 908 286	2 229 572
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საქონელი	1610	292 688	265 265
სხვა მიმდინარე აქტივები (წაყენებული პრეტენზიები და სხვა)	1900	46 093	18 404
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		338 781	283 669
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	2110	588 707	588 707
შენობა-ნაგებობები	2130	302 494	287 132
მანქანა-დანადგარები	2150	190 356	152 285
ოფისის აღჭურვილობა	2160	43 356	34 685
სხვა ძირითადი საშუალებები	2170	32 856	26 830
სატრანსპორტო საშუალებები	2180	7 328	29 222
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 165 097	1 118 861
სულ აქტივები		3 412 164	3 632 102
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	200 228	144 893
გადასახდელი ხელფასები	3130	156 273	168 199
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160		30
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3190		2 805
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	39 462	42 428

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

ქონების გადასახადი	3380	15	13
მიწის გადასახადი	3381	24	
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	327	336
სულ მიმდინარე ვალდებულებები		396 329	358 704
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	1 210 048	1 210 048
გაუნაწილებელი მოგება	5310	1 805 787	2 063 350
სულ საკუთარი კაპიტალი		3 015 835	3 273 398
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3 412 164	3 632 102

საწარმოს ხელმძღვანელი

ფიქიძე

ბ.ა.

მთავარი ბუღალტერი

ჩხიშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2019 წელში

დანართი 3

	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (01.01.2019 წ.)	1 379 490
	მათ შორის ფული სალაროში	325
	ფული ბანკში	1 379 166
	შემოსული ფული - საოპერაციო საქმიანობიდან, მათ შორის:	-----
ა)	შემოსული ფული - მომხმარებლებისაგან (რეალიზაცია)	3 974 554
	რეალიზებული პროდუქციიდან	
	შიდა სტანდარტით	483 559
	სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	3 427 035
	კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	63 961
ბ)	შემოსული ფული იჯარიდან	29 600
	სულ საოპერაციო შემოსავლები (ა+ბ):	
გ)	სხვა შემოსავლები:	
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის რეალიზაციიდან	
	სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან	
დ)	ფულადი შემოსავლები ფინანსური მიზნებისათვის:	
	სახელმწიფო და სხვა სუფსიდიები	
	აღებული კრედიტები	
ე)	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:	2 914 216
	დებიტორული დავალიანების განაღდება	13 467
	საპროცენტო შემოსავლები	116 835
	ბანკებს შორის მოძრაობა	2 783 643
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:	272
	სულ ფულადი შემოსავლები:	6 918 371
1	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები: მათ შორის	-----
	ხელზე გაცემული ხელფასი	2 089 804
	ხელფასთან დაკავშირებული გადასახადები	573 389
	საშემოსავლო გადასახადი	526 839
	პროფკავშირების საწევროს გადასახადი	3 940
	ხელფასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები	42 610
	თანამშრომლებზე გაცემული საავანსო თანხები	
	ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	
	შემენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	819 828
	მედიკამენტები და რეაქტივები	730 898
	კვების პროდუქტები	42 604
	ტრანსპორტისათვის საწვავი	10 740
	ავტოსათადარიგო ნაწილები	3 457
	სხვა მასალები	14 793
	ძირითადი მასალების დანახარჯები	17 336
	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	29 200
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა	29 200
	სხვა ძირითადი საშუალებების	
	წინასწარ გადახდილი ხარჯები- არასწორად ჩამორიცხული თანხის დაბრუნება	24 222
	იჯარის ხარჯები	
	ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	123 068
	ელექტრო ენერგიის ხარჯი	57 929
	წყალკანალის ხარჯი	10 886
	ბუნებრივი გაზის ხარჯი	44 359
	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	4 560

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

	დასუფთავების მოსაკრებელი (მუნიციპალური)	4 164
	საკაბელო ტელევიზიის მომსახურება	1 170
	საკანცელარიო ხარჯები	28 956
	სამეურნეო ხარჯები (მათ შორის, შეშა, სარეცხი საშუალებები, სხვა დამხმარე მასალები ...)	6 836
	საკომუნიკაციო ხარჯები:	10 199
	სტაციონალური (ხაზის) ტელეფონის ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	4 212
	ინტერნეტის ხარჯი	5 270
	საფოსტო მომსახურება	716
	კომპიუტერების და სხვა ელექტრონული ტექნიკის მიმდინარე რემონტი	25 260
	პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	23 281
	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	1 979
	საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი (საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა)	50
	გადახდილი ქონების გადასახადი	50
	ბანკის მომსახურება	2 391
	სამივლინებო ხარჯი	6 395
	წარმომადგენლობითი ხარჯი	3 500
	დაცვის მომსახურება	27 954
	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	4 000
	საჯარო რეესტრის მომსახურება	41
	სხვა სამედიცინო დაწესებულებების მომსახურება	13 225
	სხვა მომსახურება	12 145
	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	1 375
	დებიტორული დავალიანების დაფარვა	126
	ბანკებს შორის შიდა მოძრაობა	2 783 643
	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	19 450
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (სულ 1):	6 605 058
2	არასაოპერაციო ხარჯები:	550
	(ცვეთა და სხვა არაფულადი ხარჯები)	(არ ჩაითვლება)
	მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება (კრედიტორული დავალიანების დაფარვა)	
	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	550
3	ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	
	სხვა საინვესტიციო ხარჯები	
4	ფულადი ხარჯები - ნაკადები ფინანსური მიზეზისათვის:	
	აღებული კრედიტების ძირითადი თანხების დაფარვა	
	აღებული კრედიტების საპროცენტო თანხების დაფარვა	
	სხვა ხარჯები ფინანსური საქმიანობიდან	
	სულ ფულადი სახსრების ხარჯები (1+2+3+4)	6 605 608
	ფულადი სახსრები 01.01.2020 წლის მდგომარეობით	1 692 253
	მათ შორის ფული სალაროში	165
	ფული ბანკში	1 692 088

საწარმოს ხელმძღვანელი

ფილიპ

მთავარი ბუღალტერი

ბიბი



მოგება-ზარალის ანგარიშგება

დანართი 4

2019 წლის მონაცემებით 01.01.2020 წლის მდგომარეობით		
1	საოპერაციო შემოსავლები _ მათ შორის:	*
	შემოსავლები რეალიზაციიდან	4 067 196
	შემოსავლები რეალიზებული პროდუქციიდან	
	შემოსავლები შიდა სტანდარტით	483 559
	სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	3 518 433
	კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	40 003
	შემოსავლები იჯარიდან	25 200
	სხვა შემოსავლები	
	სულ საოპერაციო შემოსავლები	
2	საოპერაციო ხარჯები – მათ შორის:	*
ა)	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება: მათ შორის:	*
	ძირითადი მასალების დანახარჯები	1 146 079
	მედიკამენტების და რეაქტივების ხარჯი	1 053 993
	კვების პროდუქტების ხარჯი	40 138
	ტრანსპორტის საწვავის ხარჯი	10 791
	ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების ხარჯი	
	სხვა მასალების დანახარჯები	41 157
	პირდაპირი ხელფასი (თვითღირებულებაზე)	2 675 077
	საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	76 001
	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	2 266
	შენობა-ნაგებობების	
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების	2 266
	სხვა ძირითადი საშუალებების	
	სხვა გადასახადები - სოციალური ანარიცხები	16 863
	სხვა საოპერაციო ხარჯები	
	სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ა):	
	მოგება/ზარალი პროდუქციის რეალიზაციიდან	
ბ)	სართო და ადმინისტრაციული ხარჯები, მათ შორის:	*
	დარიცხული ხელფასი (ადმინისტრაციის)	
	ოფისის იჯარის ხარჯი	
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯები	
	ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	122 846
	ელექტრო ენერგიის ხარჯი	59 928
	წყალკანალის ხარჯი	11 856
	ბუნებრივი გაზის ხარჯი	42 452
	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	4 050
	დასუფთავების მოსაკრებელი (მუნიციპალური)	
	სადეზინფექციო მომსახურება	4 560
	საკანცელარიო ხარჯი	28 886
	სამეურნეო ხარჯი (მათ შორის, შეშა, სხვა საწვავი, სხვა დამხმარე მასალები ...)	
	საკომუნიკაციო ხარჯი (ტელეფონის, ინტერნეტის, საკაბელო ტელევიზიის, საფოსტო მომსახურება და სხვა)	11 195

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

	სტაციონალური (ხაზის) ტელეფონის ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	2 859
	ინტერნეტის ხარჯი	4 920
	კორპორაციული ნომრების ხარჯი	125
	მობილურ ტელეფონზე სალაპარაკო ზარათების ხარჯი	1 503
	საფოსტო მომსახურება	708
	საკაბელო ტელევიზიის მომსახურება	1 080
	კომპიუტერი და სხვა ელ. ტექნიკის მიმდინარე რემონტი	16 370
	პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	14 321
	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	2 049
	სხვა ტექნიკის მომსახურების/რემონტის ხარჯი	
	საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი	23
	ქონების გადასახადი	15
	მიწის გადასახადი	8
	ბანკის მომსახურება	2 410
	სამივლინებო ხარჯი	5 423
	წარმომადგენლობითი ხარჯი	3 500
	დაცვის მომსახურება	30 348
	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	4 000
	საჯარო რეესტრის მომსახურება	
	სხვა სამედიცინო დაწესებულებების მომსახურება	15 050
	ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	288
	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი (სასამართლო, სალარო აპარატის შემოწმება, აუქციონის და ტენდერის, აუდიტის და სხვა)	34 056
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი (ბ):	
	საოპერაციო მოგება (ზარალი)	
	სულ საოპერაციო ხარჯები: (ა+ბ)	4 190 682
3	არასაოპერაციო შემოსავლები – მათ შორის:	*
	საპროცენტო შემოსავლები	128 799
	ვალუტის კურსის სხვაობით მიღებული შემოსავლები	
	ფასეულობათა უსასყიდლოდ გადმოცემით მიღებული შემოსავლები	351 418
	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	
	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსავლები	
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (ვალდებულებათა ჩამოწერა დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმები და სხვა)	552
	სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	480 769
4	არასაოპერაციო ხარჯები – მათ შორის:	*
	საპროცენტო ხარჯები (აღებული კრედიტი, სხვა)	
	ვალუტის კურსის სხვაობით მიღებული ზარალი-ჯარიმა	550
	ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციით	
	ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერით	
	ზარალი სხვა აქტივების ჩამოწერით	27 840
	ზარალი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერით-უკან დაბრუნება	2 710
	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	68 619
	სულ არასაოპერაციო ხარჯები	99 719

სულ შემოსავლები:	4 547 965
სულ ხარჯები:	4 290 402
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	257 563

საწარმოს ხელმძღვანელი

Handwritten signature

მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature



ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

დანართი 11

	01.01.2019 წლის მდგომარეობით	საწესდებო კაპიტალში ან რეზერვებში დამატებითი შენატანების შეტანა (+) ან გამოტანა (-) გარდა მიწისა	იგივე მიწასთან დაკავშირებით	01.01.2020 წლის მდგომარეობით
საწესდებო კაპიტალი	1 210 048			1 210 048
სარეზერვო კაპიტალი				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება				
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი				
დაუფარავი ზარალი				
გაუნაწილებელი მოგება	1 805 787	257 563		2 063 350
სულ საკუთარი კაპიტალი	3 015 835	257 563		3 273 398

საწარმოს ხელმძღვანელი

Handwritten signature

მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature



შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. საერთო ინფორმაცია

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ დაფუძნებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად 1999 წლის 01 ოქტომბერს (სარეგისტრაციო ნომერი 01/04-1197), რომლის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით მისი წესდების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ 2014 წლის 07 აგვისტოს №ს-480 ბრძანებით. 2017 წლის აგვისტოში მოხდენილი ცვლილების შესაბამისად წილის მმართველობა გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (2017 წლის 16 აგვისტოს #B17082768 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), ხოლო ა.ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება #12/103 და 2018 წლის 17 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერით შეეცვალა სახელი და გახდა შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“.

ცენტრის იურიდიული მისამართია: შპს „ქ. სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ - საქართველო, ქ. ბათუმი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ფაქტიური ადგილმდებარეობა: - საქართველო, ქ. ბათუმი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17 საქართველო, ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. #11

2. შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ის ფუნქციონირების პირობები

ცენტრის ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს დასრულებული კალენდარული წელი.

ორგანიზაცია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას მსს ფასს-ით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორის სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ასახავს სამეურნეო სუბიექტის უნარს, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. საწარმოს ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით შეიძლება რისკები წარმოიქმნას, მათ შორის, ისეთ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტები მოგების მიღებაზე (კომერციულ საფუძველზე) მუშაობენ; როდესაც სახელმწიფოს მხარდაჭერა შეიძლება შემცირდეს ან შეწყდეს, ან მათი პრივატიზაცია განხორციელდეს - ასს-570). პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიულ ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება მსს ფასს შესაბამისად დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს.

2.1. ცენტრის საქმიანობის სფერო და უფლებამოსილებები

ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო-ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. აუდიტის პერიოდში ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა შემდეგი დადგენილებებით რეგულირებული ჯანდაცვის მოსახურეობა:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის #308 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა, რომელიც არეგულირებს ტუბერკულოზის მართვა (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება); აივ ინფექცია შიდსის მართვა (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობას, რომელიც არეგულირებს „ც“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამას;
3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობას, რომელიც არეგულირებს ინფექციური დაავადებების მართვას სტაციონარულ და გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურეობას;
4. ასევე მოქმედებს შიდა სტანდარტი და ხორციელდება ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები ცალკეული ღონისძიებებისა და ნოზოლოგიების სახით.

3. ძირითადი აღრიცხვის პრინციპები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში და შეესაბამება ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებს შესაბამისი წლის ბალანსში. ვინაიდან ცენტრს გააჩნია რამდენიმე ადმინისტრაციული ობიექტი მომსახურეობის განსახორციელებლად შესაბამისად გააჩნია რამდენიმე სალარო და შესაბამისად სალარო აპარატი ნაღდი ფულის შემოსვლის სათანადოდ აღსარიცხავად. სულ გააჩნია სამი მოქმედი სალარო

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

აპარატი შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: DY00109417, DY00033845, DY00029441. ბულატერიაში ინახება პირველადი დოკუმენტები (სალარო აპარატის ZET ჩეკები), რომელთა შემოწმების შედეგად შესაძლებელია სალაროში ნაღდი ფულის შემოსავლის სრულყოფილი აღრიცხვა. ცენტრს გააჩნია საანგარიშსწორებო ანგარიშები სს „საქართველოს ბანკ“-ში, სს „თიბისი ბანკ“-ში და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ში.

ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების აუდიტისას რაიმე არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა.

3.2. დებიტორული დავალიანება

მიმდინარე დებიტორული დავალიანება აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით. დებიტორული დავალიანებები ბალანსში ჩაირთვება ფინანსური აქტივების განყოფში. დებიტორული დავალიანებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ცენტრში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მომსახურების ღირებულება. საერთო 485 658 ლარიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრის წინაშე არსებული დავალიანება შეადგენს 438 926 ლარს.

#	იურიდიული პირის დასახელება	პროგრამის დასახელება	ასანაზღაურებელი თანხა
1.	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	ა). ინფექციური დაავადების მართვა - სტაციონარული მომსახურება	93 031
		ბ). აივ ინფექცია შიდსის სტაციონარული მომსახურება	25 177
		გ). აივ ინფექცია შიდსის ამბულატორიული მომსახურება	64 909
		დ). საყოველთაო ჯანდაცვა - ამბულატორიული მომსახურება	133 366
		ე). „ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა	59 921
		ვ). ტუბერკულოზის მართვა - ამბულატორიული მომსახურება	42 142
		ზ). ტუბერკულოზის მართვა - სტაციონარული მომსახურება	20 380
		ჯამურად	438 926
2	შპს არდი ჯგუფი		6 714
3	სს არქიმედე გლობალ ჯორჯია		1 003
4	სს ჯი პი აი ჰოლდინგი		4 137
5	შპს პსპ დაზღვევა		2 777
6	თვითმართველი ქალაქის - ბათუმის მერია		156
7	შპს სადაზღვევო კომპანია ვესტი		301
8	სს ინფექციური	ა). კონსულტაცია - ტესტირება	8 045

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

	პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/ვ ცენტრი	ბ). აივ ინფექცია შიდსით დაავადებულთა მოვლა-მკურნალობა	7 267
		ჯამურად	15 312
9	სს სილქნეტი		1 000
10	ა(ა)ივ იმედი		1 049
11	სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		744
12	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		13 539
	სულ ჯამი		485 658

3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მსს ფასს (მე-13 განყოფილება - მარაგები) მიხედვით „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ისეთი აქტივებია, რომლებიც: ა). გათვალისწინებულია გასაყიდად; ბ). მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების პროცესში; და გ). წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად“. ცენტრის სასაქონლო-მატერიალურ მარაგები შედგენილია მედიკამენტების, ლაბორატორიის რეაქტივების, დამხმარე მასალების, სადებიზინფექციო საშუალებების, რბილი თეთრეულის, სარეცხი და სამეურნეო საქონლის, კვების პროდუქტებისა და სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისაგან. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშიდან სხვა მიმდინარე აქტივების ანგარიშზე გადატანილია მცირეფასიანი ინვენტარი და ძირითადი საშუალება, რომელიც არ წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს, საერთო ღირებულებით 716,27 (შვიდასთექვსმეტი ლარი და 27 თეთრი) ლარს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ანგარიშის ნომერი	დასახელება	თანხა
1610	საქონელი	
1610 01	ცენტრალური აფთიაქი	-
1610 02	ლაბორატორიული დეპარტამენტი	115 149,00
1610 02 01	საერთო რეაქტივები	38 773,40
1610 02 02	სახარჯი მასალა	11 674,05
1610 02 03	სკრინინგის ცენტრი	1 392,99
1610 02 04	რეაქტივები „ც“	396,82
1610 02 05	სახარჯი მასალა „ც“	24 503,50
1610 02 06	სახარჯი მასალა ფტიზიოლ. დეპ.	36,03
1610 03	ინფექციურის სტაციონარული განყოფილება	770,01
		8 532,90

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

1610 04	ინფექციურის ამბულატორიული განყოფილება	2 679,82
1610 05	ავი ინფექცია შიდსის განყოფილება	24 359,98
1610 06	ავი ინფექცია შიდსი გლობალის განყოფილება	22 319,47
1610 07	ექოსკოპიის კაბინეტი	236,00
1610 08	სადეზინფექციო საშუალებების ინფექციური დეპარტამენტი	18 668,08
1610 09	გასტროსკოპიის კაბინეტი	36,52
1610 10	რენტგენის კაბინეტი	6 433,15
1610 11	ტუბ. დისპანსერის შეძენილი მედიკამენტების საწყობი	161,52
1610 12	ტუბ. დისპანსერის ჰუმანიტარული მედიკამენტების საწყობი	14 862,07
1610 13	ტუბ. დისპანსერის სტაციონარის შეძენილი მედიკამენტების საწყობი	1 254,01
1610 14	ტუბ. დისპანსერის სტაციონარის ჰუმანიტარული მედიკამენტების საწყობი	2 100,13
1610 15	ტუბ. დისპანსერის სტაციონარული განყოფილების დამხმარე სამედიცინო მასალების საწყობი	41,50
1610 16	ფტოზიოპულ. დეპ. სადეზინფექციო საშუალებების საწყობი	2 308,00
1610 18	სტაციონარი - ეკვ - ტუბ. დისპანსერი	7,26
1620	ნედლეული და მასალები	-
1620 01	კვების პროდუქტები	3 049,23
1620 02	საწვავი მასალები	828,28
1620 03	სარეცხი და სამეურნეო საქონელი	3 465,08
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		265 265,40

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება ფასდება შეძენაზე ფაქტიური დანახარჯებით, რომელშიც შედის ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულება, ასევე პირდაპირი ხარჯები ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

შემდგომი დანახარჯები დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ზრდასთან, რომელიც ზრდის სასარგებლო მომსახურების ვადას კაპიტალიზდება.

პირველდაწყებითი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აღირიცხება დარიცხული ცვეთის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ერთჯერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ნაშთები

#	მუხლის დასახელება	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
1.	მიწის ნაკვეთები	588 707	588 707
2.	შენობები	285 874	300 921
3.	ნაგებობები	1 258	1 573
4.	მანქანა-დანადგარები	152 285	190 356
5.	ოფისის აღჭურვილობა	34 685	43 356
6.	ავეჯი და სხვა ინვენტარი	26 830	32 856
7.	სატრანსპორტო საშუალებები	29 222	7 328
	სულ ჯამი	1 118 861	1 165 097

ანგარიში ძირითადი საშუალებების მიღება-გასვლის შესახებ

#	მუხლის დასახელება	2019 წელი		2018 წელი	
		მიღება	გასვლა	მიღება	გასვლა
1.	მიწის ნაკვეთები	-	-	-	-
2.	შენობები	-	15 047	-	15 838
3.	ნაგებობები	-	315	-	393
4.	მანქანა-დანადგარები	-	38 071	3 078	47 461
5.	ოფისის აღჭურვილობა	-	8 672	2 210	10 567
6.	ავეჯი და სხვა ინვენტარი	565	6 591	1 553	8 062
7.	სატრანსპორტო საშუალებები	29 200	7 305	-	1 832
	სულ ჯამი	29 765	76 001	6 841	84 153

3.5. იჯარა

გამოვლენილი გარემოებები და შეფასებები

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება (ბასს 17), რომლის თანახმადაც მეიჯარე, შემოსავლის მიღების მიზნით, გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. ცენტრს გააჩნია ჩვეულებრივი იჯარა სს „სილქნეტი“-სა და შპს „ვიონი საქართველო“-ს წინაშე. სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ხდება ყოველთვიურად გამომუშავებული შემოსავლის აღიარება. მიმდინარე წლის ბოლოსათვის ცენტრს არ აქვს მნიშვნელოვანი ამოსაღები თანხა საიჯარო ქირასთან დაკავშირებით. გააჩნია მხოლოდ სს „სილქნეტი“-ს წინაშე არსებული დებიტორული დავალიანება 1000 ლარი,

საოპერაციო იჯარის აუდიტისას რაიმე არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა.

3.6. კრედიტორული დავალიანებები

მიმდინარე მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები შედგება მოწოდებული საქონლის, მიღებული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი დავალიანებების, გადასახდელი ხელფასების, დარიცხული და საგადასახადო ვალდებულებებისაგან. მიმდინარე ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგენს 144 893.31 ლარს, რომელშიც მნიშვნელოვანი წილი (100 000.00 ლარი) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“-ს წინაშე არსებულ დარიცხული ჯრიმის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას უჭირავს. აღნიშნული დავალიანება წარმოშობილია 2015 წელს სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების არასათანადოდ შესრულების გამო. გამომდინარე აქედან გაცემული რეკომენდაციების (სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა (შესაბამისობის აუდიტის ანგარიში #41/36) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ს ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტის დასკვნა) გათვალისწინებით აღძრულია საქმე 8 ექიმის მიმართ 2018 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, თუმცა აღნიშნულ საქმეზე ჯერ სასამართლო გადაწყვეტილება არ მიღებულა.

რაც შეეხება გადასახდელი ხელფასის დავალიანების მუხლს დარიცხული ხელფასის გაცემა ხდება მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, შესაბამისად საანგარიშგებო წლის ბოლოს აღიარებული ვალი წარმოადგენს მიმდინარე წლის დეკემბრის თვის გასაცემ თანხას, რომელიც გაცემულია 2020 წლის იანვარში.

რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებებს, ამ კუთხით საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან დაკავშირებით. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნების გათვალისწინებით. საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება ყოველთვიურად გაცემული ხელფასიდან გამომდინარე. მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებების გამო რადგანაც 2019 წელს არ მომხდარა დივიდენდის გაცემა და მოგების ყოველთვიური დეკლარაციით გათვალისწინებული ხარჯვა შესაბამისად დეკლარაცია ნულოვანია. ქონების გადასახადი აღიარებულია კანონით დადგენილ ვადებში და შესაბამისი ოდენობით.

3.7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ერიცხება საანგარიშო წლის ფინანსური შედეგიდან გამომდინარე მისი განაწილების შემთხვევაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი ერიცხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის საგადასახადო ბაზას წარმოადგენს ფინანსური შედეგი, აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.8. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსური ნაკადების აღრიცხვაში შემოსავლების და ხარჯების ასახვის დრო და მისი განსაზღვრის მეთოდი მსს ფასს შესაბამისად - ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფულადი სახსრები მიღებული ან გადახდილი, ან ექვემდებარებოდა თუ არა მიღებას ან გადახდას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების საიმედოობა, რომელიც მომავალში მიიღება. შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როცა გადაეცემა არსებითი რისკები და სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივთან. ცენტრს გააჩნია შემდეგი სახის შემოსავლები: ა). შემოსავლები შიდა სტანდარტით; ბ). შემოსავლები სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით; გ). შემოსავლები კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით და დ). სხვა არასაოპერაციო შემოსავლები. არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია საპროცენტო შემოსავლების, პერონალზე დაკისრებული ჯარიმებისაგან, ფასეულობათა უსასყიდლოდ გადმოცემით მიღებული

შპს „საღიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შემოსავლების და სხვა დარიცხული პირგასამტეხლოებისა და ჯარიმებისაგან, ასევე ხანდაზმული კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავლებისაგან.

ხარჯები

ხარჯები და სხვა გასავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით. იგი შედგება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებისაგან. საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი ძირითადი მარაგების დანახარჯებზე და სამედიცინო პერსონალის ხელფასზე მოდის; დანარჩენ ნაწილს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს. არასაოპერაციო ხარჯები დებიტორული დავალიანების კორექტირებით მიღებული ზარალისაგან შედგება.

3.9. კაპიტალი

კაპიტალის შემადგენლობაში შედის კაპიტალის წმინდა ღირებულება და გაუნაწილებელი მოგება. წმინდა ღირებულებაშია აკუმულირებულია მოგება. საწესდებო კაპიტალმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1 210 048.00 ლარი, ხოლო გაუნაწილებელმა მოგებამ 2 063 350 ლარი შეადგინა.